

**კინოტელეოპერატორი 080152**

**პროფესიული სტანდარტი**

**I. სფეროს აღწერა**

კინოტელეოპერატორი სატელევიზიო და კინო წარმოების დარგობრივი სფეროს პროფესიული კვალიფიკაციაა. კინოტელეოპერატორის პროფესიული ამოცანაა ტექნიკურად სრულფასოვანი და კომპოზიციურად დახვეწილი სატელევიზიო და კინო კადრის გადაღება.

**II. დასაქმების სფერო**

- ვიდეო საწარმოო სტუდია;
- სარეკლამო სააგენტო;
- კინოწარმოება (მხატვრული, დოკუმენტური).
- ტელევიზია - სატელევიზიო მრავალკამერიანი სტუდია;

**III. დამატებითი მოთხოვნები:**

- მეოთხე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება

**IV. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია**

კინოტელეოპერატორის ერთსაფეხურიანი პროფესიული განათლებისთვის შემუშავებულია სასწავლო პროგრამა და მისი დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება დიპლომით დადასტურებული პროფესიული კომპეტენცია.

კინოტელეოპერატორის მეოთხე საფეხურის პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს, საიდანაც მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკას.

V კინოტელეოპერატორის კვალიფიკაციის აღმწერი.

კინოტელეოპერატორის მეოთხე პროფესიული კვალიფიკაციის აღმწერი.

<p><b>ცოდნა და გაცნობიერება</b></p>	<p>აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა, აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს.</p>	<p>იცის: ა) საოპერატორო ხელოვნების საფუძვლები; ბ) კინო (მხატვრული, დოკუმენტური) და ტელე სპეციფიკა; გ) რეჟისურის საფუძვლები და ვიდეო მონტაჟი; დ) ტელე და ვიდეო ტექნიკა; ე) მხატვრული განათება. შეუძლია გადასაღებ მოედანზე დამოუკიდებლად მუშაობა; ექსტრემალურ სიტუაციაში წამოჭრილი პრობლემების გაცნობიერება და გადაწყვეტა.</p>
<p><b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b></p>	<p>შეუძლია, სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის დასაძლევად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით.</p>	<p>ცოდნას იყენებს სატელევიზიო სტუდიაში ან განსხვავებული ჟანრის კინო სცენების გადაღებისას ინტერიერში და ექსტერიერში. ოპტიკის, შუქის, განათების, ფერის და კადრის კომპოზიციის ცოდნა ეხმარება ფილმის თითოეული სცენის გადაღების ზუსტი სტრატეგიის შემუშავებაში დამდგმელი ოპერატორის ზემოცანის გადასაწყვეტად.</p>
<p><b>დასკვნის უნარი</b></p>	<p>შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგის ანალიზი.</p>	<p>გადასაღებ მოედანზე წარმოშობილი პრობლემების შემთხვევაში შეუძლია იმოქმედოს ალტერნატიული ფორმით, განსახილველად გააცნოს ის დამდგმელ ოპერატორს და გაანალიზოს მიღებული შედეგი.</p>
<p><b>კომუნიკაციის უნარი</b></p>	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში, ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება, უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება.</p>	<p>შეუძლია სარეჟისორო სცენარის წაკითხვა და გააზრება, მიზანსცენების დამუშავება, ზეპირი დავალების გაცემა გადასაღებ მოედანზე; შეუძლია გაეცნოს დარგის მიღწევებს, ახალ მეთოდებს როგორც ლიტერატურიდან, ისე ინტერნეტის მეშვეობით; ფლობს ინგლისურს იმ დონეზე, რომ შეუძლია სიახლის წაკითხვა და ინფორმაციის დამუშავება.</p>
<p><b>სწავლის უნარი</b></p>	<p>შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა განჭვრეტად, თუმცა ნაწილობრივ ცვალებად, ვითარებაში.</p>	<p>შეუძლია დამოუკიდებლად განსაზღვროს საკუთარი განათლების გაღრმავების ფორმა და შინაარსი.</p>
<p><b>ღირებულებები</b></p>	<p>პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად.</p>	<p>იცნობს, აცნობიერებს და პასუხისმგებლობით ეკიდება საკუთარ იმიჯს გადასაღებ მოედანზე.</p>